მცირედმორწმუნეობის პანდემია

ყოველი განსაცდელი ღმრთის დაშვებით ხდება. ერთი მხრივ, განსაცდელი თავს გვატყდება ჩვენი ღმრთისგან განდგომილების გამო, იქნება ეს ურჯულოება თუ უზნეობა. მეორე მხრივ, განსაცდელი გვევლინება სწორედ იმიტომ, რომ გულისხმა–ვყოთ, შევიცნოთ და შევინანოთ ჩვენი ცოდვები, განვმტკიცდეთ ეკლესიის წიაღში და მოვიპოვოთ ღმრთის კეთილგანწყობა, რომელიც გვიხსნის ყოველგვარი განსაცდელისაგან. ეკლესიის წიაღში განმტკიცება კი ხდება ლოცვით, მარხვით, ღმრთის მასახურებებში მონაწილეობით, აღსარებითა და ზიარებით.

ის, რომ დღევანდელი კაცობრიობა უკიდურეს განდგომილებაშიც არის და ზღვარს გადასულ უზნეობაშიც, სრულიად ნათელია. ამიტომაც არ გვიკვირს გახშირებული განსაცდელები, იქნება ეს ეკონომიკური თუ სოციალური კატასტროფები, ეპიდემიები, ომები და ა.შ. ღმრთის დაშვება არ გამორიცხავს იმას, რომ კრიზისები თუ ეპიდემია–პანდემიები შეიძლება გარკვეული ძალების მიერ იყოს ინსპირირებული. ამის ნათელი მაგალითია 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ–ფინანსური კრიზისი. თუ ხელთქმნილი კრიზისი და განსაცდელი მსოფლიო ხასიათს ატარებს, მისი ინსპირატორებიც, ბუნებრივია, მსოფლიო ძალები არიან. ხშირ შემთხვევაში ეს ძალები გლობალისტური, ანუ, ეკლესიოლოგიური ტერმინებით რომ ვთქვათ, ანტიქრისტეს წინამორბედები, მისი "მოციქულები" არიან. ხოლო ისინი, ვინც ცალკეულ ქვეყნებში ამ ძალების მიზნების განხორციელებას ემსახურებიან, ანტიქრისტეს ადეპტები და ემისრები ხდებიან.

ამ საკითხს ჩვენ მეტად აღარ ჩავუღრმავდებით, არამედ შევეხებით დღევანდელი პანდემიის თემას. ჩვენი საუბრისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, დღევანდელი პანდემია ბუნებრივი წარმომავლობის არის თუ ინსპირირებული მოვლენაა. სიტყვისათვის, ამ უკანასკნელის სასარგებლოსდ ლაპარაკობს ის, რომ კორონავირუს corvid-19–ის გენომა, ანუ გენეტიკური კონსტრუქცია, გენური ინჟინერიის თვალსაზრისით, საკმაოდ ხელოვნურად გამოიყურება. თუმცა, ვიმეორებთ, ამას ჩვენი საუბრისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი ის არის, რომ დღევანდელ პანდემიას გლობალისტურ–ლიბერალური ძალები თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებენ.

უკვე შეუნიღბავი თვალითაც ჩანს, რომ ამ ძალების ერთ–ერთი (თუმცა არა ერთადერთი) მიზანი არის ის, რომ ეს ძალები დევანდელ პანდემიას იყენებენ ქრისტეს ეკლესიის, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. მათი მიზანია დახურონ ეკლესიები, რაც, მაგალითად, განახორციელა საბერძნეთის მართულმა ხელისუფლებამ; ან მაქსიმალურად შეზღუდონ მორწმუნეთა დასწრება ღმრთის მსახურებებზე, იქნება ეს სამოქალაქო ხასიათის შეძღუდვები თუ ეკლესიის მესვეურთა მხრიდან მცირედმორწმუნოების აშკარა გამოვლინებები. ამ უკანასკნელ მოვლენას ადგილი ჰქონდა რუსეთის ეკლესიაში, როდესაც მისმა საეკლესიო ხელისუფლებამ (რომელშიც წამყვანი პოზიციები ე.წ. ნიკოდიმელთა ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ) მიიღო სინოდალური გადაწყვეტილება ზიარების კოვზის

"დეზინფიცირების" შესახებ, რითაც ეჭვის ქვეშ დააყენა წმიდა ზიარების მაკურნებელი, განმწმენდი და მაცხოვნებელი ძალა და თვისება. ეს გადაწყვეტილება მორწმუნეებმა რუსეთში უკვე შეაფასეს, როგორც სამარცხვინო. კერძოდ აღინიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მეტყველებს დაეჭვებაზე მადლის განმწმენდ, მაკურნებელ და განმანათლებელ თვისებასთან, ასევე, თავად უმაღლესი იერარქების ურწმუნოებაზე ევქარისტიის საიდუმლოს ძალასთან დაკავშირებით, რომელთაც დაავიწყდათ, რომ ევქარისტია – ეს ქრისტეს ხორცისა და სისხლის სიმბოლოები კი არა, არამედ თავად მისი უწმინდესი ხორცი და სისხლია, ჯვარცმულისა, ჯვარზე მომკვდარისა და აღდგომილისა.

ხელისუფლების მხრიდან მრევლის შეზღუდვის მცდელობა საქართველოშიც იყო, თუმცა ხელისუფლებას ეყო გონივრულობა, როდესაც ეს შეზღუდვა მორწმუნეებს არ დაუწესა ეკლესიაში მისვლასთან დაკავშირებით. მაგრამ თავად ეკლესიის წიაღში გამოჩნდნენ სასულიერო და საერო პირთა მცირე ჯგუფი, ისინი, რომლებიც (ყოველ შემთხვევაში მათი ერაერთი წარმომადგენელი) ცნობილნი არიან თავიანთი ლიბერალური ცნობიერებითა და ბართლომეანელობით[1]. მათ თავიანთ საინფორმაციო სივრცეში გამოაქვეყნეს წერილი, რომლის მიზანია ჩვენი ეკლესიის დისკრედიტირება და მრევლის დაბრკოლება, სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ ისინი არ მივიდნენ ეკლესიაში.

ერთი შეხედვით ეკლესიოლოგიურად გამართული მათი წერილი შეიცავს აშკარა მცდელობას, რომ საქართველოს ეკლესიის სინოდალური გადაწყვეტილება დაუპირისპიროს სხვა ეკლესიების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, კერძოდ, იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აშკარად მიმართულნი არიან ეკლესიიდან მრევლის ჩამოსაშორებლად, თუნდაც პანდემიის მოქმედების დროს. აი, ციტატა ქაერთველი ლიბერალების ხსენებული წერილიდან: **"თუ ტაძარში მსახურებებზე დასწრების შეზღუდვა „არის გაუმართლებელი და დანაშაული ღვთის წინაშე“, როგორც ეს განცხადებაშია[2] ნათქვამი, ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში განფენილი მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი ნაწილი გაუმართლებელ დანაშაულს სჩადის, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის სხეულისადმი წაყენებული მწვავე ბრალდებაა".** (ციტატის დასასრული). აი, აქედან მჟღვნდება, რომ წერილის ხელმომწერთა ნამდვილი მიზანი არის სწორედ მრევლის ეკლესიიდან ჩამოშორება, მისი ღმრთისმსახურებაზე არ დასწრება, რაც განაჩინა "**მსოფლიოში განფენილი მართლმადიდებელი ეკლესის**" ზოგიერთმა ადგილობრივმა ეკლესიამ, და არა ის, რომ სინოდალური განჩინება შეიცავს რაღაც კაზუსურ მომენტს, რაც, თავის მხრივ, მიუკერძოებელი განხილვის საგანი უნდა იყოს, და არა შეფარულ–მზაკვრულისა, ისეთისა, როგორსაც, სამწუხაროდ, არც თუ უშვიათად მიმართავენ ქართველი ლიბერალები.

---

[1] საუბარია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეს ემისრებზე საქართველოში, რომლებიც ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, რომ არ მოახდინონ ჩვენი პატრიარქისა და ეკლესიის დისკრედიტირება

[2] საუბარია საქართველოს სინოდის განჩინებაზე პანდემიასთან დაკავშირებით

გვინდა მივმართოთ მორწმუნეებს: საკითხის განხილვისას იმას კი ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რომ ამასთან დაკავშირებით რომელიმე სხვა ეკლესიამ რა გადაწყვეტილება მიიღო, არამედ იმას, თუ რამდენად ეკლესიის სწავლების მიხედვით არის განმარტებული და მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება. ასე რომ არ ყოფილიყო ეკლესიაში, მაშინ დღეს ქრისტეს ეკლესია აღარ იარსებებდა, სულ მცირე, მაქსიმე აღმსარებლის, ან თუნდაც გრიგოლი პალამას ან მარკოზ ეფესელის დროიდან მოყოლებული.

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქცეოდა ეკლესია სხვადასხვა ეპიდემიების დროს, საკმარისია მივმართოთ ქრისტეს ეკლესიის გამოცდილებას. მსოფლიო ეკლესიის ისტორიიდან კარგადაა ცნობილი სხვადასხვა ეპიდემიებთან ბრძოლის ხერხების შესახებ. ამ ხერხებმა ასახვა ჰპოვეს თვით ეკლესიის ლიტურგიკულ ცხოვრებაშიც, როგორიცაა, მაგალითად, დღესასწაული: "შემოყვანება პატიოსანთა ძელთა უფლისა ცხოველსმყოფელისა ჯვარისა", რომელსაც ეკლესია დღესასწაულობს საეკლესიო კალენდრით 1 აგვისტოს. ეს დღესასწაული დადგინდა მე–9 საუკუნეში კონსტანტინოპოლში ეპიდემიის სასწაულებრივ შეწყვეტასთან დაკავშირებით. ეპიდემიები არც თუ იშვიათი ხილი იყო იმ დროს, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც იწყებოდა სახადები, ქოლერა თუ შავი ჭირი. ხსენებული სასწაული კი ასე აღესრულა: ეპიდემიის მძვინვარების დროს ბიზანტიის დედაქალაქის სასულიერო პირებმა კონსტანტინოპოლის დიდი სამეფო სასახლიდან გამოაბრძანეს უფლის ცხოველსმყოფელი ჯვარი და მოაწყეს მსვლელობა მთელ დედაქალაქში, ჯვრით ლიტანიობითა და წმინდა წყლის სხურებით. მსვლელობები იმართებოდა 15 დღის, მთელი მიძინების მარხვის განმავლობაში. ამის შემდეგ ღმერთმა მოიღო წყალობა და აღხოცა მომმუსვრელი ეპიდემია. ამას გარდა, ბიზანტიის იმპერიაში დადგინდა წყლის მცირე კურთხევის ტრადიცია ყოველი თვის პირველ რიცხვში.

დიდი მარხვის დღეებში, როდესაც ქრისტეს ეკლესია მოუწოდებს მორწმუნეებს განსაკუთრებული ყურადღებითა და სინანულით ცხოვრებაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მიწიერი ცხოვრების ისტორიაში მოქმედებს ღმრთის განგება. ის გვსჯის ცოდვებისათვის და გვაფხიზლებს ამ ცოდვათა შესაცნობად. ხოლო სინანულისა და ღმრთისადმი სასოების გამოვლენის შემთხვევაში გვიწყალებს და გვაცილებს მოვლენილ განსაცდელებს. დასასრულს, კორონავირუსთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი პანდემია – ეს უწინარეს ბაქტერიოლოგიური პანდემია კი არ არის, არამედ მცირედმორწმუნეობის პანდემიაა, რომელიც ცდილობს მორწმუნეები დააშოროს სინანულს, ეკლესიასა და წმინდა ზიარებას.